



## მრგვალი მაგიდა თემაზე - ამომრჩეველთა სიების დახვეწა

ამომრჩეველთა სიის სიზუსტე არჩევნების დღეს მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, უზრუნველყოფს რა ამომრჩეველთა ნდობას საარჩევნო პროცესების მიმართ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, "ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის" (OSCE-ODIHR) და "საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის" (IFES) ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად 2011 წლის 22 ნოემბერს შედგა მრგვალი მაგიდა, რომლის მთავარ მიზანს იმ საკითხების განხილვა წარმოადგენდა, რომლებიც ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე ახდენენ გავლენას, აგრეთვე ის შესაძლო ნაბიჯები, რომლებიც ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნული თემის განხილვის მიზნით პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საერთაშორისო განვითარების სააგენტოების და მედიის 60-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა.

შეხვედრაზე მონაწილეებმა საქართველოში ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს და ყურადღება გაამახვილეს საარჩევნო სიებზე მუშაობის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს გამოცდილებაზე.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს კავშირი მოსახლეობის რეგისტრაციასა და ამომრჩეველთა რეგისტრაციას შორის, რაც, როგორც ამომრჩეველთა სიებზე, ისე ამ სიების დაზუსტების სამომავლო პროცესზე ახდენს გავლენას; ეს პროცესი კი ახლად დაარსებული ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ განხორციელდება.



## დასკვნები და რეკომენდაციები<sup>1</sup>

1. ამომრჩეველთა რეგისტრაციისას, ინფორმაციის შეგროვების და განახლების პროცესში საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით, საზოგადოება შესაბამისად უნდა იყოს ინფორმირებული ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის ყველა ეტაპის შესახებ.
2. დამისამართების პროცესი, რომელსაც ამჟამად სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ახორციელებს, პოზიტიური ნაბიჯია ამომრჩეველთა საარჩევნო უბნებზე გადანაწილების სიზუსტის უზრუნველყოფისათვის.
3. იმისათვის, რომ გაიზარდოს საზოგადოების ნდობა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესისადმი, ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელმა ორგანომ პერიოდულად უნდა განახორციელოს ამომრჩეველთა სიების შიდა აუდიტი და რეგულარულად მიაწოდოს საზოგადოებას განახლებული სტატისტიკა ამომრჩეველთა რეესტრში შეტანილი ცვლილებების შესახებ. მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ინტერესს და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რეესტრში შეცვლილი მისამართების რაოდენობა, რეესტრში შეტანილი ახალი ჩანაწერები, ამომრჩეველთა სიიდან ამოღებული გარდაცვლილ პირთა რაოდენობა, ერთ მისამართზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობა.
4. ამომრჩეველთა სიების აუდიტისა და შემოწმების სამომავლო პროცესი კარგი საშუალებაა ამომრჩეველთა სიებში არასწორი ინფორმაციის აღმოსაფხვრელად. თუმცა, აუდიტის შედეგად საარჩევნო სიებში ნებისმიერი ცვლილება ამავე მიზნით შექმნილი და შესაბამისად დოკუმენტირებული ცვლილებების პროცედურების მიხედვით უნდა განხორციელდეს.
5. საარჩევნო სიებში ცვლილებების შეტანის პროცედურების შემუშავების მიზნით, რომელიც ამომრჩეველთა სიების გადამოწმების პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რეკომენდებულია საქართველოს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში დაინერგოს საპილოტე პროექტი, რომელიც ამომრჩეველთა სიებში განსაზღვრავს ყველა შესაძლო სახის შეცდომებს. ამის შემდეგ, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროცედურები საპილოტე პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და შეცდომების აღმოსაფხვრელად.



6. ინფორმაცია საარჩევნო სიებში შესული ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, არსებული წერილობითი პროცედურების შესაბამისად შესრულებულის გარდა, უნდა იყოს დასაბუთებული, ცალსახა და აუდიტის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი; უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურ დეტალურ ინფორმაციას, თუ როდის განხორციელდა ცვლილება, რა მიზეზით, ვის მიერ და როგორ შეიძლება გასაჩივრდეს.

7. დეტალური ინფორმაცია აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შესახებ, როგორცაა მაგალითად გარდაცვლილი პირები ამომრჩეველთა სიებში, არასწორ მისამართებზე რეგისტრირებული ამომრჩევლები, უნდა მიეწოდოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. იდეალურ შემთხვევაში, აუდიტის პროცესში შესწორებები უნდა აისახოს შესაბამის სამოქალაქო ჩანაწერში.

---

<sup>1</sup> ქვემოთ მოყვანილ საუკეთესო გამოცდილებებსა და რეკომენდაციებს არ აქვს ოფიციალური სტატუსი და არ ეფუძნება ეუთო-ს წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ შეთანხმებას. მათი ამ მოხსენებაში ჩართვა არ ასახავს ეუთო-ს ხედვებს ან პოლიტიკას. ამავდროულად ეს შინაარსი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან შეერთებული შტატების მთავრობის ხედვებს.